ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში საქართველოს გაწევრიანების პროცესის შესახებ

საქართველომ 2010 წელს დაიწყო მოლაპარაკებები ევროკომისიასთან ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, 2013 წლის იანვარში კი საქართველოს მთავრობამ ოფიციალურად მიმართა ენერგეტიკული გაერთაინებას სრულუფლებიან წევრობაზე. 2014 წლის თებერვალში, ენერგეტიკის საკითხებში ევროკომისრის, გიუნტერ ოტინგერის განცხადებით, საქართველო ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების წევრი ევროკომისიის ვადის ამოწურვამდე, ანუ 2014 წლის ოქტომბრის ბოლომდე უნდა გამხდარიყო. მას შემდეგ მოლაპარაკებების რამდენიმე რაუნდი ჩატარდა, სადაც მნიშვნელოვანი კომპრომისები იქნა მიღწეული საქართველოსათვის სენსიტიურ საკითხებში. საჯაროდ რამდენჯერმე გაცხადდა, რომ მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობდა და პრაქტიკულად დასრულებული იყო, თუმცა საბოლოოდ ჩანს, რომ გაწევრიანების პროცესი ჭიანურდება. მოლაპარაკებები პრაქტიკულად შეჩერებულია 2014 წლის ადრე გაზაფხულიდან, როცა შეფერხდა ორმხრივი საკონსულტაციო შეხვედრები. ამასთან, არ ყოფილა სათანადოდ განმარტებული ამ გაჭიანურების მიზეზები და წამოჭრილი სირთულეები.

შექმნილი მდგომარეობა სერიოზული შეშფოთების საფუძველს იძლევა, ვინაიდან გაუმართლებელი გადავადებით შესაძლებელია ზიანი მიდგეს მთლიანად ევროინტეგრაციის პროცესს და მასთან დაკავშირებული მრავალი სარგებლის და ეროვნული ინტერესის განხორციელებას. კერძოდ, გასათვალისწინებელია, რომ:

- ასოცირების შეთანხმების ხელმოწერით საქართველომ უკვე აიღო ევროპის ენერგეტიკული კანონმდებლობის პაკეტის განხორციელების ვალდებულება. მოლაპარაკება ენერგეტიკული გაერთიანების (EC) წევრობის ფორმატში განსაზღვრავს მხოლოდ ვადებს და განხორციელების პირობებს. თუ EC მოლაპარაკება წარუმატებლად დამთავრდა, <u>ასოცირების შეთანხმების თანახმად, მაინც უნდა მოხდეს იგივე დირექტივების განხორციელება საქართველოს კანონმდებლობაში, თუმცა, შესაძლოა, უფრო ხისტი ვადებით და პირობებით.</u>
- EC წევრობით გამყარებული კანონმდებლობის და სისტემების ჩამოყალიბებაქმნის გამჭვირვალე, სტაბილურ საკანონმდებლო და მარეგულირებელ გარემოს, რაც ქვეყანაში კვალიფიციური სტრატეგიული ინვესტორების მოზიდვის და ინვესტიციის მოცულობების გაზრდის და ასევე <u>სატრანზიტო ფუნქციის განხორციელების და სტრატეგიული ენერგეტიკული პროექტების განხორციელების მნიშვნელოვანი</u> წინაპირობაა. <u>.</u>
- ენერგეტიკული გაერთიანების წევრობა პოლიტიკური ასოცირების მნიშვნელოვანი ნაბიჯია და აჩვენებს პოლიტიკური არჩევანის სიმწიფეს, რამაც შედეგად უნდა გამოიღოს ქვეყნის უსაფრთხოებისათვის უმნიშვნელოვანესი <u>ევროპული და ევროატლანტიკური პოლიტიკური მხარდაჭერის უფრო მაღალ ხარისხი</u>.

- ევროპული ენერგეტიკული კანონმდებლობის დანერგვა თავისთავადი სარგებელია, ვინაიდან ეს გულისხმობს საბაზრო მექანიზმების, გამჭვირვალობის და ხარისხიანი საკანონმდებლო გარემოს დამყარებას; რაც ნიშნავს ენერგეტიკის სექტორში არსებული უხარისხო საკანონმდებლო და მარეგულირებელი გარემოს შეცვლას, გაუმჭვირვალე მემორანდუმების მახინჯი სისტემის ეტაპობრივ გაუქმებას, ბაზრის დემონოპოლიზაციას, ჯანსაღ კონკურენციაზე დაფუძნებული და გამჭვირვალე საბაზრო პრინციპების და პროფესიული გარემოს დამკვიდრებას, კორუფციის შესაძლელობების აღმოფხვრას. EC წევრობა ასევე გულისხმობს ევროპული კანონმდებლობის დანერგვაში ფინანსური და ტექნიკური დახმარების მიღებას.
- EC წევრობა მოითხოვს ენერგოეფექტურობის, განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარებას, გარემოსდაცვის და კონკურენციის პირობების დაცვას და ა.შ. რაც ქვეყნის და საზოგადოების ტექნოლოგიურ და ინსტიტუციურ განვითარებას ნიშნავს და რისი გადადებაც გაუმართლებელია. მათ შორის, იხსნება საქართველოს განახლებადი ენერგიის პოტენციალის განვითარების შესაძლებლობა ერთობლივი პროექტების განხორციელების გზით.
- ენერგეტიკული გაერთიანება არის ევროპასთან ენერგეტიკული ურთიერთობების პლატფორმა და ფორუმი სადაც საქართველოს შეეძლება მონაწილეობა და საკითხების დაყენება სხვა ქვეყნებთან ერთად. მიუხედავად პირდაპირი ენერგეტიკული კავშირის არქონისა, შესაძლებელია მოიძებნოს EC ქვეყნებს შორის არსებული საგანგებო ენერგეტიკულ სიტუაციებში ურთიერთდახმარების მუხლის განხორციელების პირობების ამოქმედების გზებიც.
- ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის მიხედვით, ევროინტეგრაცია და, აქედან გამომდინარე, ჰარმონიზაცია ენერგეტიკულ სფეროში, ისევე როგორც ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის განხორციელება, არის საქართველოს ეროვნული ინტერესი, ამიტომ საქართველოს მთავრობა უნდა ესწრაფოდეს მის განხორციელებას ყველა შესაძლებლობით, მათ შორის EC წევრობით.
- ენერგეტიკული გაერთიანების წევრობაზე განაცხადის და ოთხწლიანი მოლაპარაკებების შემდეგ არაარგუმენტირებული თავშეკავება შიგა პოლიტიკური პროცესის უმწიფრობის, ან საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილების მაჩვენებელი შეიძლება გახდეს, რაც შელახავს საქართველოს, როგორც საიმედო პარტნიორის იმიჯს, ხელს შეუშლის მთლიანად ევროინტეგრაციის პროცესს და ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის სატრანზიტო პროექტების განხორციელებას. საქართველოს ევროინტეგრაციის მოწინააღმდეგეთა მხრიდან კი შესაძლებელი ხდება ამ ყველაფრის გამოყენება დამატებითი ბარიერების და სირთულეების შესაქმნელად[1].

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი მიანიშნებს, რომ ენერგეტიკული გაერთიანების წევრობაზე მოლაპარაკებების გაჭიანურება შესაძლოა ქვეყნის პროდასავლურ განვითარებაზე

[1] *ცნობისათვის, 2013 წელს EC წევრობაზე უარის თქმის სანაცვლოდ, რუსეთი მოლდოვას გაზის ფასის მესამედით შემცირებას და სხვა ეკონომიკურ დახარებას სთავაზობდა, რაზეც მოლდოვამ უარი განაცხადა და* EC-*ში მაინც გაწევრიანდა. აღნიშნული მაგალითი ამ ნაბიჯის პოლიტიკური მნიშვნელობის კიდევ ერთი მაჩვენებელია.*

უარყოფითად აისახოს და ევროინტეგრაციის პროცესზე უარის თქმის ტოლფასი გახდეს. მოყვანილ სარგებელებზე უარის თქმის და საფრთხეების წარმოშობის პირობებში, სასურველია, გამოირიცხოს შეცდომის ალბათობა და გაირკვეს, რამდენად არგუმენტირებულია ამ პროცესის შეჩერება. მიგვაჩნია, რომაღნიშნული საკითხი პარლამენტის და სამოქალაქო საზოგადოების მხრივ მეტ ყურადღებას და ჩართულობას მოითხოვს.

www.weg.ge

03.11.14